ტუნდრა და ტაიგა

გინახავს ტყე? გაიხსენე, როგორი მცენარეები ხარობს იქ. შენი აზრით, რომელი ცხოველები ბინადრობენ იმ ტყეში?

ტუნდრა უტყეო ადგილია. ის ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სამხრეთით მდებარეობს. ტუნდრაში მიწა სულ გაყინულია. ამიტომ იმ ადგილებში მხოლოდ დაბალი ბუჩქები იზრდება.

ტუნდრაში ცხოველებიც ცოტაა. იქ **ბინადრობენ** თეთრი დათვი, პოლარული მელა, კურდღელი, ირემი. ზამთრობით ტუნდრაში საკვები ძალიან ცოტაა. ამიტომაც ბევრი ცხოველი თბილ ადგილებში მიდის. მხოლოდ **მცირე ნაწილი** რჩება ტუნდრაში. მაგალითად, თაგვები ზამთარში **სოროებში** იმალებიან. ისინი წინასწარ შეგროვილი **თივითა** და მცენარეების მარცვლებით იკვებებიან. თეთრი კურდღელი ზამთარს მიწის ზემოთ ატარებს. მას თითებს შორისაც კი **ბეწვი** აქვს, ამიტომ არ სცივა.

ტუნდრის სამხრეთით მდებარეობს ტაიგა. ტაიგა იაკუტურ ენაზე ტყეს ნიშნავს. ტაიგაში გრძელი და ძალიან ცივი ზამთარი იცის. ზაფხული კი შედარებით თბილია.

ტაიგაში ნაძვისა და ფიჭვის **უზარმაზარი** ტყეებია. იქ ბინადრობს სხვადასხვა სახის ცხოველი. მათ შორის არიან დათვი, ირემი, მფრინავი ციყვი და თეთრი კურდღელი. ასევე – **ძვირფასი** ბეწვის მქონე სიასამური და ყარყუმი. ზამთარში, როცა საჭმელი ცოტაა, ირმები ტოტებითა და ხის ქერქით იკვებებიან.

როგორც ხედავ, ტუნდრა და ტაიგა ბევრი რამით განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჩვენი პლანეტის სიმდიდრეა.

სად უფრო რთული კლიმატური პირობებია: ტუნდრაში თუ ტაიგაში? შენი აზრით, რატომ?

დონე: B გამარტივებული, **კომპონენტი:** შედარება-შეპირისპირება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტუნდრასა და ტაიგაში:

ა) ზამთარი ძალიან ცივია.

ბ) მხოლოდ ბუჩქები იზრდება.

გ) ცოტა ცხოველი ბინადრობს.

2 ცხოველებიდან რომელი ბინადრობს როგორ ტაიგაში, ისე ტუნდრაში?

ა) დათვი და მფრინავი ციყვი.

ბ) ირემი და კურდღელი.

გ) სიასამური და ყარყუმი.

3 რომელი ინფორმაცია არის სწორი?

ა) ტაიგაში ზაფხული ძალიან ცივია.

ბ) ტაიგაში მიწა სულ გაყინულია.

გ) ტაიგაში უზარმაზარი ტყეებია.

4 ტუნდრის კურდღელს არ ეშინია ზამთრის სიცივის, რადგან:

ა) იგი სხვა ცხოველებივით თბილ ადგილებში მიდის.

ბ) მას საკმარისი რაოდენობის საკვები აქვს სოროშივ მომარაგებული.

გ) მისი სხეულის ყველა ნაწილი ბეწვით არის დაფარული.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. თაგვები ზამთარში **სოროში** იმალებიან. **სორო** არის:
   ა) ცხოველის სადგომი მიწაში.
   ბ) ცხოველის სადგომი ხეზე.
   გ ცხოველის სადგომი ყინულში.

2. ტაიგაში ნაძვისა და ფიჭვის **უზარმაზარი** ტყეებია.
   ა) ძალიან დიდი. ბ) ძალიან ლამაზი. გ) ძალიან ძველი.

3. ტაიგაში ბინადრობს **ძვირფასი** ბეწვის მქონე სიასამური.
   ა) თბილი. ბ) საუკეთესო. გ) სქელი.

4. თაგვები **თივით** იკვებებიან.
   ა) გამხმარი ბალახით. ბ) გემრიელი ბალახით. გ) ბევრი ბალახით.

2 მოცემული განმარტების მიხედვით იპოვე შესაბამისი სიტყვა ტექსტში.

განმარტება: *თმის მსგავსი ამონაზარდი, რომლითაც დაფარულია ცხოველის ტყავი.*

სიტყვა: ----------.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

ბინადრობს	არის
მდებარეობს	იკვებება
ჭამს	ცხოვრობს

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

ტუნდრის ---------- თითებს შორისაც თბილი ბეწვი აქვს.

ა) კურდღელი. ბ) კურდღელმა. გ) კურდღელს.

გრამატიკა

2 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. ტუნდრა ჩრდილოეთის ყინულოვანი (ოკეანე) ---------- სამხრეთით მდებარეობს.
2. ტაიგა (იაკუტური) ---------- ენაზე ტყეს ნიშნავს.
3. ირმები ხის (ქერქი) ---------- იკვებებიან.

3 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ოკეანე – ---------- მცენარე – ----------

ტყე – ---------- ხე – ----------

წერა

1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.

ტყე	სად მდებარეობს?	რა იზრდება?	რა ბინადრობს?	რით გამოირჩევა?
ტუნდრა				
ტაიგა				

2 აღწერე ტყე, რომელიც შენ გინახავს. დაწერე, რით ჰგავს ან რით განსხვავდება იგი ტუნდრისაგან ან ტაიგისაგან. დახატე ეს ტყე.

_____

_____

_____

_____

_____

_____